



## ცვლილება ბრძანებაში

### შინაარსი

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართის შევსების წესი
- სსიპ-ს ჯარიმისგან გათავისუფლება
- არაკვალიფიციური დღგ-ის გამომხდელის სტატუსის მინიჭების საფუძველი
- უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება
- საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა
- საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის გამოცემა

### გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართის შევსების წესი

2024 წლის 23 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №166, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართში, სადაც იგეგმება ინფორმაცია საანგარიშო თვეში განხორციელებული განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ. მე-14 სვეტს შეეცვალა სახელწოდება და ნაცვლად „შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის თანხისა“ (იგულისხმება სსკ-ის 309-ე მუხლის 112-ე ნაწილის საფუძველზე შესამცირებელი საშემოსავლო გადასახადის თანხა, რაც წარმოადგენდა პანდემიურ პერიოდში დამქირავებლის შეღავათს, დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი არ გადაეხადა ბიუჯეტში, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1,500 ლარს არ აღემატებოდა) აღნიშნულ სვეტში აისახება „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ჩათვლას დაქვემდებარებული, უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა“.

ცვლილება ასევე განხორციელდა აღნიშნული ბრძანების 38-ე მუხლში, რომელიც ეხება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს. კერძოდ, ცვლილება განხორციელდა აღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტში და განისაზღვრა, რომ აღნიშნული დანართის მე-14 სვეტში აისახება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ჩათვლას დაქვემდებარებული, უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაქირავებულისათვის ხელფასიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხას. ამ გრაფაში საგადასახადო აგენტის მიერ შესაბამისი თანხა აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთსა და იმავე განაცემზე გადასახადის დაკავების უფლება წარმოექმნება როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ისე მეორე სახელმწიფოს და უცხო ქვეყანაში გადახდილი თანხა ექვემდებარება ჩათვლას.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 24 მაისიდან.

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჯარიმისგან გათავისუფლება

2024 წლის 28 მაისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №11602, რომლითაც ცვლილება შევიდა „საგადასახადო/საბაუო ორგანოს მიერ ცალკეული ღონისძიებების განხორციელების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 აპრილის №9021 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების დანართი №2-ში, რომელიც ეხება, სსკ-ით გათვალისწინებულ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის /გაანგარიშების წარდგენისას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევის (274 მუხლი), ასევე, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის (282-ე მუხლი) საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან პირის გათავისუფლების ღონისძიებებს. აღნიშნულ ღონისძიებებს უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანო/დავის განმხილველი ორგანო ან სასამართლო, რომელთაც უფლება აქვთ, გაათავისუფლონ კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი სსკ-ით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით (269-ე მუხლი).



ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) თავისუფლდება ზემოთ ხსენებული ჯარიმებისგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით და ამის შესაბამისად წარმოდგენილია საჩივარი, მიუხედავად იმისა კმაყოფილდება თუ არა ამავე ბრძანებით გათვალისწინებული ცალკეული პირობები, რაც ამავე ბრძანების დანართის პირველ და მე-3 პუნქტებით არის განსაზღვრული.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 22 მაისიდან.**

## არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების საფუძველი

2024 წლის 31 მაისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №10911, რომლითაც ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლში, რომელიც ეხება არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭებასა და გაუქმებას. ცვლილების შედეგად აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. მოგეხსენებათ, არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი საფუძველია შემთხვევა, როდესაც კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა) ან წარადგინა და მის საფუძველზე დასარიცხი გადასახადის თანხა ერთ ლარს არ აღემატება. ცვლილების შედეგად დამატებით განისაზღვრა, რომ ზემოთ ხსენებულ პირობებთან ერთად უნდა დაკმაყოფილდეს კიდევ ერთი, კერძოდ, უფლებამოსილი პირის მიერ კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის უკანასკნელი მინიჭებიდან გასული უნდა იყოს 6 კალენდარული თვე.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 3 მაისიდან.**

## უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება

2024 წლის 28 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №169, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად, აღნიშნული ბრძანების XVI<sup>ბ</sup> თავის სათაური ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით, კერძოდ ეწოდა “დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი”, ნაცვლად „ცალკეულ შემთხვევებში დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი“-ისა. აღნიშნული თავი განსაზღვრავს მხოლოდ დღგ-ის მიზნებისთვის დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილს.

ასევე, აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახალი 66<sup>ბ</sup> მუხლი დასახელებით „უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება“, რაც შესაბამისობაშია სსკ-ის 162<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილთან. კოდექსის აღნიშნული ნაწილის მიხედვით, უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება იმ ტერიტორიაზე განეულებად მიიჩნევა, სადაც მდებარეობს ეს უძრავი ნივთი.

პირველი ნაწილით დაზუსტდა, რომ უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება მოიცავს მომსახურების მხოლოდ ისეთ სახეებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ უძრავ ნივთთან. ასევე განიმარტა რა სახის მომსახურება ჩაითვლება უძრავ ნივთთან უშუალოდ დაკავშირებულად:

- თუ მომსახურება გამომდინარეობს უძრავი ნივთიდან, რომელიც წარმოადგენს მომსახურების შემადგენელ განუყოფელ ელემენტს. ამასთანავე, აღნიშნული მომსახურების განევა შეუძლებელია უძრავი ნივთის გარეშე;
- თუ მომსახურება განეულია უძრავ ნივთთან მიმართებით, მათ შორის, თუ იგი მიზნად ისახავს უძრავი ნივთის ნებისმიერი სახის ფიზიკურ ცვლილებას ან სამართლებრივი სტატუსის რაიმე ფორმით ცვლილებას.

აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით განისაზღვრა კონკრეტული მომსახურებების ჩამონათვალი თუ რა სახის მომსახურებებს მოიცავს უძრავ ნივთთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურება, მაგალითად:

- სამშენებლო სამუშაოების მომზადების მომსახურება, კერძოდ, კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ან შენობა-ნაგებობის ნაწილის პროექტის შედგენა, მიუხედავად იმისა, ეს შენობა-ნაგებობა აშენდება თუ არა;
- უძრავი ნივთის ადგილზე ზედამხედველობის ან დაცვის მომსახურება, მათ შორის, სამშენებლო სამუშაოების კოორდინაცია ან/და სამშენებლო მოედანზე კონტროლის განხორციელება;
- უძრავი ნივთის გაქირავება, იჯარით ან სხვა მსგავსი ფორმით გაცემა;
- და სხვა.

აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილით განისაზღვრა იმ მომსახურებების ჩამონათვალი, რაც არ მოიაზრება უძრავ ნივთთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებებში, მაგალითად ასეთებია:

- შენობა-ნაგებობის ან შენობა-ნაგებობის ნაწილის პროექტის შედგენა, თუ იგი არ არის განკუთვნილი კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის;
- საქონლის შენახვა, თუ უძრავი ნივთის (სათავსის, საწყობის) განსაზღვრული ნაწილი არ არის განკუთვნილი მომხმარებლის ექსკლუზიური სარგებლობისათვის;
- სარეკლამო მომსახურება, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მოიცავს უძრავი ნივთის გამოყენებას;
- და სხვა.

ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, განისაზღვრა, რომ თუ აღჭურვილობა მომხმარებლის განკარგულებაში გადაიცემა უძრავ ნივთზე სამუშაოების შესრულების მიზნით, ასეთი ოპერაცია უძრავ ნივთთან დაკავშირებულ მომსახურებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი იღებს პასუხისმგებლობას ამ სამუშაოს შესრულებაზე. მიმწოდებელი, რომელიც სამუშაოს შესრულების მიზნით მომხმარებელს უზრუნველყოფს აღჭურვილობით და ამ აღჭურვილობის ექსპლუატაციისთვის საჭირო პერსონალით, ითვლება, რომ იღებს პასუხისმგებლობას ამ სამუშაოს შესრულებაზე. მოცემული პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ კონკრეტული ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებებით საწინააღმდეგო მტკიცდება.

აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ასევე განისაზღვრა, რომ საკუთარი სახელით მოქმედი დასაბეგრი პირის მიერ სასტუმრო ან ანალოგიური ფუნქციის მქონე სექტორებში (როგორცაა დასასვენებელი ბანაკები, საკარვე ადგილები) განთავსების მომსახურებასთან ერთად გაწეული ტელესაკომუნიკაციო, სამაუწყებლო ან ელექტრონულად გაწეული მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მდებარეობს აღნიშნული უძრავი ნივთი.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 29 მაისიდან.

## მეთოდური მითითება

### საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა

2024 წლის 27 მაისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №11601, საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული მეთოდური მითითება არეგულირებს საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო მომსახურებით მიღებული შემოსავლის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიჩნევის, ასეთი შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრისა და საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესებსა და პირობებს.

მეთოდური მითითება ძალაშია 2024 წლის 22 მაისიდან.

## პროცედურული სახელმძღვანელო

### საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის გამოცემა

2024 წლის 27 მაისს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №9732, საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის გამოცემის შესახებ პროცედურული სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული პროცედურული სახელმძღვანელო არეგულირებს საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტის (შემდგომში - შუალედური აქტი) გამოცემის პროცედურას, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი კი გახლავთ საგადასახადო შემოწმებით დასარიცხი თანხების (შესაბამისი ეპიზოდების) დროული აღიარების ხელშეწყობა.

საგადასახადო შემოწმების ფარგლებში შუალედური აქტის გამოცემის საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვა სპეციფიკით განპირობებული, კერძოდ:

- გადასახადის გადამხდელის მიერ თანხმობის წარმოდგენა საგადასახადო შემოწმებით გამოვლენილ იმ საკითხების თაობაზე, რომელთა მიმართ მას პრეტენზია არ გააჩნია და შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილზე შედგენილ შუალედურ აქტს და მის საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნას იგი არ გახდის სადავოდ;

- საგადასახადო შემოწმების ფარგლებში იმ საკითხების გამოვლენა, რომელთა გასაჩივრების შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დაკმაყოფილების პერსპექტივა, აუდიტორის მიერ მოპოვებული პირდაპირი მტკიცებულებიდან გამომდინარე, იქნება დაბალი;
- შესამოწმებელი მთლიანი პერიოდის ნაწილის მიმართ ხანდაზმულობის მოახლოება;
- საგადასახადო შემოწმების ფარგლებში სხვა სპეციფიკური საკითხების გამოვლენა.

ერთი საგადასახადო შემოწმების ფარგლებში შეიძლება გამოიცეს ერთზე მეტი შუალედური აქტი.

**ბრძანება ძალაშია 2024 წლის 1 მაისიდან.**

## ცვლილება კანონში

2024 წლის 4 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 4197-XIVმს-Xმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილებები შეეხო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლს.

### საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა

გარდამავალი დებულებების 37-ე ნაწილს, დაემატა ახალი „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის (საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის ზოგადი წესი) მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწერას ექვემდებარება ფიზიკური პირის აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული საგადასახადო დავალიანება (გადასახადის თანხა და ჭარიმა) და მასზე დარიცხული საურავი.

### შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოებთან დაკავშირებული ოპერაციების გათავისუფლება გადასახადებისგან

გარდამავალი დებულებების მუხლს ასევე დაემატა ახალი, 146-ე ნაწილი, რომლის თანახმადაც შელავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის 2028 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შემთხვევაში:

- ამ უცხოური საწარმოს და მისი პარტნიორი ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მიღებული შემოსავალი/სარგებელი, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიიჩნევა, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან;
- აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადებისგან. ამ ქვეპუნქტის გამოყენების წესს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
- საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით 2030 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

აღნიშნული გამოიყენება, თუ:

- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) ფლობს;
- ხდება ისეთი აქტივის გადაცემა, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოს საკუთრებაში აქვს ამ ნაწილის ამოქმედების დღისთვის.

დამატებით განისაზღვრა, რომ ამ ოპერაციის ფარგლებში აქტივის მიმღები მხარისთვის აქტივის ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისთვის მისი ღირებულება ამ აქტივის გადაცემის მომენტისთვის.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 5 ივნისიდან.**

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებას ბრძანებაში, მეთოდურ მითითებასა და კანონში.

მარიამ ხუსკივაძე  
[MKhuskivadze@bdo.ge](mailto:MKhuskivadze@bdo.ge)

მიხეილ ენუქიძე  
[ME nukidze@bdo.ge](mailto:ME nukidze@bdo.ge)

▶ ვრცლად [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.